# საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
## უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 94-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგერნილების პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მსვლელობა.

დანართი 5 ფურცელი

პატივისცემით,

მერაბ კარანაძე


№ 09-01-08/30
10 - 05 - 2017
5 ფურცელი

<u>პროექტი</u>

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

# დადგენილება

## „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი (www. matsne.gov.ge), 19.11.2013, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320040.31.056.016038) დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:
ა) პირველი პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
ბ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. მე-7 და 7[1] მუხლები ამოღებულ იქნეს.

3. 47-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 47. იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი
1. უმაღლესი განათლება (იურიდიული).
2. საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი.
3. ნორმატიული აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
გ) საქართველოს კანონი ,,საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.“.

4. XIV თავის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის XIV[1] თავი:

,,თავი XIV[1]
საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა
და პროტოკოლის დეპარტამენტი

**მუხლი 62[1]. უფროსი სპეციალისტი**

1. უმაღლესი განათლება;
2. ჟურნალისტად მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;
3. ნორმატიული აქტების ცოდნა:
   ა) საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ;
4. ინგლისური ენა.“.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის
№

# განმარტებითი ბარათი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:**

დადგენილების პროექტის მიღება გამომდინარეობს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 და 29-ე მუხლების მოთხოვნებიდან. კერძოდ, კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ კონკურსის შედეგად, გარდა კანონის 30-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო მე-19 მუხლის თანახმად, სამსახურში მიღებასთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნები შეიძლება შემოიღოს დაწესებულების ხელმძღვანელმა (დაწესებულებამ) ნორმატიული აქტით.

გამომდინარე იქედან, რომ უმაღლესი საბჭოს აპარატში დღეის მდგომარეობით ვაკანტურია იურიდიული და საკადრო საკითხთა დეპარტამენტის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის პოზიციები, მათი შევსება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით, ხოლო დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასადგენად საჭიროა შესაბამისი ცვლილების განხორციელება უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბრის №81 დადგენილებაში.

ვაკანტური პოზიციების მიმართ, პროექტით გათვალისწინებული დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაძლებლობას იძლევა საჯარო კონკურსის წესით უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაქმდეს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრები.

გარდა ვაკანტური თანამდებობების მიმართ დასადგენი დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა, დადგენილების პროექტით საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შედის რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცვლილება.

**ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

პროექტის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან ამოღებული იქნება პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლებიც ითვალისწინებდა კონკურსანტის მიერ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულების ცოდნას. მათი ამოღების მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ზოგადი მოთხოვნებით განისაზღვრება იმ ძირითადი ნორმატიული აქტების ცოდნა, რომელიც უმაღლესი საბჭოს აპარატში დასაქმებული საჯარო მოხელის უშუალო საქმიანობასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად,

მიზანშეწონილია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ცოდნა დადგინდეს არა როგორც საერთო მოთხოვნა, არამედ საჭიროების შემთხვევაში განისაზღვროს კონკრეტული თანამდებობის მიმართ. ანალოგიური პრინციპითაა ამოღებული შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულების ცოდნის მოთხოვნაც. აღსანიშნავია, რომ პირველი მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და ასევე მოიცავს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს.

პროექტით გათვალისწინებულია საკვალიფიკაციო მოთხოვნების მე-7 და 7[1] მუხლების ამოღება, რომელიც დაკავშირებულია აპარატში განხორციელებულ რეორგანიზაციასთან, რომლის შედეგად 2017 წლის 1 მარტიდან თავმჯდომარის კაბინეტის სამდივნოს სტრუქტურაში აღარ არის გათვალისწინებული ის თანამდებობები, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები იყო დადგენილი აღნიშნული მუხლებით. კერძოდ, კაბინეტის სამდივნოს წამყვანი სპეციალისტის (პროტოკოლისტი) და უფროსი სპეციალისტის პოზიციები გაუქმებულია, ხოლო თანამშრომლები გადაყვანილი არიან საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტში შესაბამის პოზიციებზე.

დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით კონკურსის გზით შესარჩევი კანდიდატის მიმართ მოითხოვება საჯარო სამსახურში არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება, რაც მიზნად ისახავს არსებული ვაკანსიების დაკომპლექტებას გამოცდილი კადრებით, რომლებსაც პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად, ექნებათ საჯარო სამსახურის სპეციფიკის ცოდნაც.

საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტის დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნად დგინდება ინგლისური ენის ცოდნა და ჟურნალისტად მუშაობის გამოცდილება, რაც მნიშვნელოვანია ვაკანტური თანამდებობის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობებისა და ფუნქციების გათვალისწინებით. აღნიშნულ პოზიციაზე შერჩეულ პირს უნდა ჰქონდეს ინგლისური ენის ცოდნის მაღალი კომპეტენცია, ვინაიდან მისი საქმიანობა დაკავშირებული იქნება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განსათავსებლად ინფორმაციის ინგლისურ ენაზე დამუშავებასთან, უცხოელებთან ურთიერთობასა და მასობრივი მედიის საშუალებების წარმომადგენლებთან კომუნიკაციასთან.

**გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:**

დადგენილების პროექტი არ გამოიწვევს უმაღლესი საბჭოს 2017 წლის დამტკიცებული ასიგნებების გაზრდას.

**დ) დადგენილების პროექტის ავტორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი მერაბ კარანაძე

**ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი მერაბ კარანაძე

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც შედის ცვლილება, მათ შორის ხდება ამოღება**

**მუხლი 1. აპარატის ყველა მოხელეს მოეთხოვება**

1. შემდეგი ნორმატიული აქტების ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია;

დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი;

თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება.

2. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულების ცოდნა;

3. კომპიუტერის ცოდნა სამომხმარებლო დონეზე;

4. უმაღლესი განათლება.

**მუხლი 7. წამყვანი სპეციალისტი (პროტოკოლისტი)**

1. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის ცოდნა.

3. უცხო ენის ცოდნა.

**მუხლი 7[1]. უფროსი სპეციალისტი**

1. საჯარო სამსახურში ან / და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი .

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის ცოდნა .

**მუხლი 47. იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი**

1. უმაღლესი განათლება (იურიდიული).

2. საჯარო სამსახურში ან/და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი.

3. საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ ცოდნა.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის ცოდნა.